● წყალში ხტომა

თბილისელ სპორტსმენს — საკავშირო თასი

უკანასკნელ წლებში წყალში მხტომელთა საკავშირო თასის გათამაშებას თბილისი მასპინძლობდა და ყოველ ასპარეზობაში გამარჯვებულთა შორის მასპინძლებსაც ვხედავდით. მათ შორის თავი გამოიჩინეს ლ. ცოტაძემ, ს. შალიბაშვილმა, ი. ელბაქიძემ. გ. შავდიამ კი II ადგილი დაიკავა... ახლა ბაქოში გაიმართა საკავშირო თასის გათამაშება და იქაც **ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ე. ბილიოვა ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე — უძლიერესი იყო კოშკიდან ხტომაში.**

ე. ბილიოვა 16 წლისაა. თბილისელ მოსწავლეს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი **ი. გუტიაკულოვი** ავარჯიშებს.

სპორტსაზოგადოება „განთიადის“ წარმომადგენელმა გოგონამ წლეულს დიდ წარმატებას მიაღწია — უძლიერესი იყო წლევანდელი ზამთრის საკავშირო პირველობაზე, ვერცხლის მედლები მოიპოვა გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას“ პრიზზე გამართულ საკავშირო პირველობაზე, სსრ კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადაზე, ახლა კი — ჩვენი ქვეყნის თასი.

მართლაც და შესაშური სტაბილურობით გამოირჩევა ე. ბილიოვა, ამასთან ერთად მზარდი სპორტსმენია და შეჯიბრებიდან შეჯიბრებამდე ხვეწს ოსტატობას. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო მეტად გამოიჩენს თავს.

ბაქოში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაში გაიმარჯვეს აგრეთვე, ქალთა შორის 3-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში კუიბიშეველმა ვ. პრიბიტკოვამ, ვაჟთა შორის ამავე სახეობაში—კიეველმა ი. იანკოვმა, ხოლო კოშკიდან ხტომაში — ვოლგოგრადელმა ა. ორლოვმა.

● ჩოგბურთი

„ოქრო“ უჟგოროდიდან

როგორც ვიუწყებოდით, უჟგოროდში, ჩოგბურთელ გოგონათა და ჭაბუკთა გუნდურ საკავშირო ჩემპიონატზე ბრწყინვალედ იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილებმა. გუნდმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ დები **ი.** და **მ. მალაციძეები, ი. ანტონიანი, ი. გერაძე, მ. ხადარაძე, დ. კაჭარავა, ვ. ხურდა და ვ. გაბრიჩიძე,** დაამარცხა მოლდავეთის, ლენინგრადის, ბელორუსიისა და უკრაინის კოლექტივები და **სსრ კავშირის 1981 წლის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა.**

გაბრიჩიძემ, კაჭარავამ და გერაძემ პირველად მიაღწიეს ამ წარმატებას, დანარჩენებისთვის კი ეს ამ რანგის მეორე ოქროს მედალია. ადრე ისინი ჩემპიონები გახდნენ 1979 წელს ხარკოვში.

უჟგოროდში ასპარეზობისთვის გუნდი მოამზადეს **რ. აბჟანდაძემ** და **გ. მუხაელიანმა.**

აქვე დაიწყო პირადი პირველობა, რომელშიც 150-ზე მეტი სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ასპარეზობა 30 აგვისტომდე გაგრძელდება.

ა. მალაიანცი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

საქართველოს სპორტსმენთა წარმატება

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 166
(6977)

1981 წ.
27 აგვისტო,
ხუთშაბათი
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

● ცხენოსნობა

საუკეთესო შედეგით

მოსკოვში, ბიტცის ოლიმპიურ საცხენოსნო კომპლექსში, დამთავრდა საერთაშორისო ასპარეზობა, რომელშიც მასპინძელთა გარდა მონაწილეობდნენ გდრ-ისა და პოლონეთის ცხენოსნები.

აქვე პარალელურად ტარდებოდა ჩვენი ქვეყნის პროფკავშირების სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლების შეჯიბრება, სადაც გუდაუთელმა **ზ. ხიმონიამ** (ცხენი „კასპით“) № 1, № 3 და № 4 დაბრკოლებათა გადალახვაში იასპარეზა და **სამივე სახეობაში პირველი ადგილები დაისაკუთრა.**

ამავე შეჯიბრებაში კარგად გამოვიდნენ ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე, საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრი **ვ. შელია** (თბილისი) და საბჭოთა კავშირის ნაკრების კანდიდატი **იუნონა კოჟინა** (თბილისი).

● ხელბურთი

დღეს გადამწყვეტი მატჩებია

თბილისის „ბურევესტნიკის“ სპორტულ კომპლექსში გრძელდება სსრ კავშირის უმაღლესი სასწავლებლების სპორტკლუბების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ხელბურთელ ვაჟთა შორის.

გუშინ გაიმართა მეორე ტურის მატჩები.

საინტერესოდ წარიმართა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ჩელიაბინსკის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების მატჩი. მოსკოველი სტუდენტები სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონები არიან. თავიანთ საუკეთესო წლებში ისინი ევროპის თასსაც ფლობდნენ, მაგრამ დღეს გუნდი მძიმე მდგომარეობაშია. სხვადასხვა მიზეზის გამო მას გამოაკლდა რამდენიმე ძირითადი მოთამაშე, მიმდინარეობს თაობათა ცვლა. გუნდის ახალი მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ხელბურთელი ი. კლიმოვი ეძებს გზებს, რათა კოლექტივში დარჩენილი გამოცდილი მოთამაშეების ვ. კრავცოვის, ვ. გაგინის, ვ. ილინის თამაშს შეუხამოს გამოუცდელი ახალგაზრდების სპორტული ჟინი და შემართება. ამიტომაც იყო, რომ მატჩის პირველი წუთები ჩელიაბინსკელებთან დაძაბულად წარიმართა. მე-5 წუთი — 1:1, მე-10 წუთი — 3:3, მე-15 წუთი — 6:6. მხოლოდ გამოცდილებითა და გამარჯვებისადმი ლტოლვით შეძლეს მოსკოველებმა ტაიმის თავის სასარგებლოდ დამთავრება — 16:9.

მატჩის მეორე ნახევარში საავიაციო ინსტიტუტის ხელბურთელთა უპირატესობა აშკარა იყო — 36:21.

ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტებმა (ზიი) და კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტის ხელბურთელებმა ადვილად დაამარცხეს შესაბამისად ტაშკენტის სკიფი — 39:23 (19:13) და უფის უნივერსიტეტის სპორტსმენები — 29:16 (16:5).

გუშინ თბილისელი ხელბურთელები ისვენებდნენ.

დღეს ქვეჯგუფში გადამწყვეტი მატჩებია. ერთმანეთს ხვდებიან: სპი (თბილისი) — საავიაციო ინსტიტუტი, კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — „ზიი“.

ჯ. აბაიშვილი,
საპატიო სპორტის ოსტატი.

* * *

სურათზე: უტევს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდის წევრი ა. ტაბიძე.

გ. ახალაძის ფოტო.

● ჭადრაკი

ლიდერობას განაგრძობს

ახალგაზრდების მსოფლიო გუნდურ ჩემპიონატზე, რომელიც ავსტრიის ქალაქ გრაცში მიმდინარეობს, უკვე 8 ტური გათამაშდა. კვლავ ლიდერობს სსრ კავშირის ნაკრები (გ. კასპაროვი. ლ. ფსახისი, ა. იუსუპოვი, ა. კოჩიევი, სათადარიგონი ა. დოლმატოვი, ი. ვლადიმიროვი) — 23,5 ქულა 32-დან. ინგლისის ნაკრებს 22 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს, უნგრეთის გუნდს — 19,5 (2).

სათამაშო დარჩა სამი ტური.

ჭაბუკთა ჩემპიონატზე

მეხიკოში (მექსიკა) გრძელდება ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონატი, სადაც უკვე 6 ტურია გათამაშებული.

ლიდერობენ ესტონელი ი. ელვესტი და იუგოსლავიელი ო. ცვიტანი — 5-5 ქულა. მეორე საბჭოთა მონაწილეს ლენინგრადელ ვ. სალოვს 4 ქულა აქვს.

სათამაშო დარჩა 7 ტური.

იუგოსლავიელთა იუბილე

60 წლის წინათ, 1921 წლის 14 აგვისტოს, სლოვენიის ქალაქ ცელეში შეიქმნა იუგოსლავიის საჭადრაკო კავშირი. ეს ღირსსახსოვარი თარიღი ზეიმით აღნიშნეს იუგოსლაველმა მოჭადრაკეებმა — იტყობინება ბელგრადიდან საკდესის კორესპონდენტი. იმ შორეულ დროში იუგოსლაველთა საჭადრაკო ორგანიზაციას მხოლოდ 500-მდე წევრი ჰყავდა.

საჭადრაკო მოძრაობამ იუგოსლავიაში განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო ომისშემდგომ წლებში. ამჟამად კი საჭადრაკო კავშირი ათასობით წევრს აერთიანებს. ქვეყანაში მოღვაწეობს 30-ზე მეტი დიდოსტატი და 50-მდე საერთაშორისო ოსტატი. ამ მხრივ მსოფლიოში იგი მხოლოდ სსრ კავშირს ჩამორჩება.

იუგოსლაველი მოჭადრაკეები მონაწილეობენ მრავალ საერთაშორისო ტურნირში, ხოლო უძლიერესი დიდოსტატები — მსოფლიო პირველობის გათამაშებაში. საქვეყნოდ არიან ცნობილი იუგოსლაველი დიდოსტატები: წარსულში — მ. ვიდმარი, ბ. კოსტიჩი, სადღეისოდ — ს. გლიგორიჩი, ა. მატანოვიჩი, ბ. ივკოვი, ლ. ლიუბოევიჩი და სხვები.

ვიდრე სექტემბრის ზარი დარეკავს...

„გავაძლიეროთ ფიზკულტურული და სპორტული მუშაობა ბავშვთა და ახალგაზრდათა შორის“

(სკკპ XXVI ყრილობის მასალებიდან).

●

ხალხური თამაშები — სკოლაში!

● ყურადღება, ექსპერიმენტი

სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებებმა საბჭოთა ფიზკულტურული ორგანიზაციები ახალი ამოცანების წინაშე დააყენა. მუშაობაში ახლა დიდი ადგილი დაეთმო სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვთა და აგრეთვე უფროსი და საშუალო ასაკის პირთა შორის ფიზკულტურულ-სპორტული მეცადინეობების მასობრივად გაშლა-განვითარების საქმეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო ასაკის ბავშვებთან მუშაობას. სკოლებში ჩატარებული სამედიცინო დაკვირვებებით ჩანს, რომ ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევა, როცა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ორგანიზმის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებაში, განსაკუთრებით კი სწორი ტანადობის ფორმირებაში, ადგილი აქვს რიგ გადახრებს (კიფოზი, ლორდოზი, სქოლიოზი), მრავალ მოზარდს აწუხებს ჭარბი სიმსუქნე.

1977 წლის 2 ივლისს საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „სტატისტიკა მოწმობს, რომ ფრიად გავრცელდა ისეთი მოვლენა, როგორიცაა ჩვენი ბავშვების აღნაგობის დარღვევა, ხერხემლის გამრუდება. საქმე ეხება იმას, რომ ჩვენში ზოგჯერ კიდევ არიან ფიზიკურად არასაკმაოდ განვითარებული ბავშვები და ისინი არც თუ ისე ცოტანი არიან“... შემდეგ, შეეხო რა მოსწავლეთა მეცადინეობის რეჟიმს, ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ თქვა: „მეორე-მესამე კლასის მოსწავლეთა 62,5 პროცენტი დღეში 6-8 საათს მეცადინეობს, მეექვსეკლასელთა 85 პროცენტი — 9-10 საათს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ ყველა ჩვენი მოსწავლის 68 პროცენტი დღეში ერთ საათს მაინც, ზოგჯერ კი მეტსაც, მუსიკას, უცხო ენასა და სხვა საგნებს ანდომებს.

ჰოდა, რა გამოდის: ბავშვი ნახევარ დღეს კლასში იჯდა, შინ მივიდა და ისევ ზის — ამჯერად უკვე გაკვეთილებს ჩაუჯდა. გაკვეთილებს რომ მორჩა, ისევ დაჯდა, ამჯერად ტელევიზორის ეკრანს მიუჯდა. ასე რომ, ბავშვს სულ აღარ რჩება იმის დრო, რომ ფიზკულტურას და სპორტს მისდიოს, ინავარდოს და ითამაშოს. ასე ჩაიყოლია ბავშვების ნაწილი ჩვენი საუკუნის უბედურებამ — „ჰიპოდინამიამ“ (ნაკლებმოძრავმა ცხოვრებამ)“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მკვეთრად ისმება საკითხი ჰიპოდინამიის წინააღმდეგ ქმედითი საშუალებების გამოძებნის შესახებ. ასეთ საშუალებად, უპირველეს ყოვლისა, **ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის რაციონალიზაცია უნდა მივიჩნიოთ.** გაკვეთილის რაციონალიზაციისათვის კი მრავალი გზა არსებობს. ჩვენ ერთ-ერთი მათგანი — ფიზიკური აღზრდის გაკვეთილში მოძრავი თამაშობების ფართოდ გამოყენება ავირჩიეთ.

აღსანიშნავია, რომ წინათ მოზარდის ფიზიკური აღზრდის საქმეში ხალხურ მოძრავ თამაშობებს უაღრესად დიდი ადგილი ეკავა. ისინი ფიზიკური აღზრდის საუკეთესო საშუალებად იყო მიჩნეული. უკანასკნელ წლებში კი მათი ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში გამოყენების დიაპაზონმა, სამწუხაროდ, მნიშვნელოვნად იკლო. თანდათანობით მივიწყებას ეძლევა ერთ დროს ისეთი პოპულარული ხალხური თამაშები, როგორიცაა: ლახტი, რიკტაფელა, გაკვრა-გაქცევა, ოთურმა, დაჭერობანა, ჯოხიტაციობა, ჯარაობა, ისინდი, ქვასალობია, ყაბახი, ქორობანა, კატათაგვობანა, სამხრეობა, ხმალაობა, წრებურთი, შვიდქვაობა და სხვ.

ხალხური მოძრავი თამაშები ბავშვებისათვის საინტერესო და ხელმისაწვდომია, მათი დიდი ნაწილი მოსწავლეების ორგანიზმზე საკმაოდ მაღალ ფიზიკურ დატვირთვას და მრავალმხრივ ზემოქმედებას ახდენს და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ისინი აქტიურ მოძრაობაში მომეცადინეთა ჯგუფურად ჩაბმის შესაძლებლობას იძლევა. ცხადია, ფიზიკური აღზრდის ასეთი საშუალებების მოსწავლეთა შორის ფართოდ გავრ-

(დასასრული მე-2 გვ.).

ხალხური თამაშები — სკოლაში!

დასასრული

ცელებამ ხელი უნდა შეუწყოს სკოლაში ფიზიკური აღზრდის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

ამგვარად, როგორც ზემოთქმულიდან ჩანს, ჩვენ ამ სტატიაში წამოვაყენეთ სამუშაო ჰიპოთეზა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილის რაციონალიზაციის შესახებ მასში ხალხური მოძრავი თამაშების ფართოდ გამოყენების გზით.

ამ რაციონალიზაციის არსი იმაში მდგომარეობს, რომ მოძრავ თამაშებს გაკვეთილის საერთოდ მიღებული მეთოდიკით გათვალისწინებული 7-8 წუთის ნაცვლად დაეთმოს 15 წუთი. მაგრამ ამასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოძრავი თამაშების სწორა… შერჩევას. მათი შერჩევა უნდა ხდებოდეს კონკრეტული პედაგოგიური ამოცანების გათვალისწინებით, კერძოდ, ასეთ ამოცანას წარმოადგენს გაკვეთილის ეფექტიანობის (მუშაობის სიმჭიდროვის) ამაღლება ისეთი მოძრავი თამაშების გამოყენების მეშვეობით, რომლებიც ხელს შეუწყობს მომეცადინეთა საერთო ფიზიკური მომზადების სრულყოფას და მათ მიერ ძირითადი მოძრაობითი ჩვევების — რბენის, ხტომების, ტყორცნების წარმატებით დაუფლებას.

გაკვეთილის (III-IV კლასებისათვის) რაციონალიზაციის ჩვენს მიერ წამოყენებული ვარიანტის ეფექტურობის შემოწმების მიზნით თბილისის 38-ე საშუალო სკოლაში ჩავატარეთ **პედაგოგიური ექსპერიმენტი**, რომლის დროს საცდელი ჯგუფების გაკვეთილში ჩართული იყო ხალხური მოძრავი თამაშები და მათ ჩატარებას 15 წუთი დრო ეთმობოდა. საკონტროლო ჯგუფებში კი ტარდებოდა სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული მოძრავი თამაშები 7-8 წუთის განმავლობაში.

პედაგოგიური ექსპერიმენტი ჩატარდა გაზაფხულის პერიოდში (თებერვალი-მაისი) და გაგრძელდა 3,5 თვეს. ამ პერიოდის განმავლობაში შემოწმებული იქნა 10 ხალხური მოძრავი თამაში, აქედან 5 მესამე კლასებში და 5 მეოთხეში.

გაკვეთილებში გამოყენებული ხალხური მოძრავი თამაშების ეფექტურობის დადგენის მიზნით პედაგოგიური ექსპერიმენტის პროცესში (მის დასაწყისში და დასასრულს), როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ჯგუფის ყველა მოსწავლის ფიზიკური მომზადება შემოწმდა სპეციალური საკონტროლო ნორმატივებისა (რბენა, ხტომები, დამძიმებული ბურთის ტყორცნა) და მშთ I საფეხურის „მამაცნი და მოხერხებულნი" ნორმატივების ჩაბარების ხარისხის მიხედვით. ამას გარდა. მოწმდებოდა გაკვეთილში მუშაობის სიმჭიდროვე ქრონომეტრაჟის მეშვეობით (პულსის ცვლილების რეგისტრაციის თანხლებით) და გაკვეთილში მოსწავლეთა მოძრაობითი აქტივობა ნაბიჯმზომის მეშვეობით.

აღნიშნული პედაგოგიური მაჩვენებლების შესწავლასთან ერთად ტარდებოდა სამედიცინო დაკვირვებები, რაც გამოიხატებოდა გულის შეკუმშვისა და სუნთქვის სიხშირის, აგრეთვე ფილტვების სასიცოცხლო ტევადობის ცვლილების გაზომვაში ფიზიკურ დატვირთვასთან დაკავშირებით.

მუშაობის სიმკვრივის განსაზღვრის მიზნით ხორციელდებოდა ყოველი მეოთხე გაკვეთილის ქრონომეტრირება. სულ ქრონომეტრირებული იქნა ფიზიკური აღზრდის 20 გაკვეთილი, აქედან 10 საცდელი ჯგუფების და 10 საკონტროლოსი. ამ ქრონომეტრაჟების საშუალო მონაცემების შედარება შემდეგ სურათს იძლევა:

საცდელი ჯგუფების გაკვეთილებში აბსოლუტური სიმკვრივე უდრიდა 60%-ს, ხოლო საკონტროლო ჯგუფების გაკვეთილებში კი 48%-ს; შედარებითი სიმკვრივე საცდელ გაკვეთილებში უდრიდა 83%-ს, ხოლო საკონტროლოში 76%-ს; გაცდენილი დრო საცდელ გაკვეთილებში შეადგენდა 16%-ს, ხოლო საკონტროლოში — 24%-ს. მაშასადამე, როგორც ეს **მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, აბსოლუტური სიმკვრივე საცდელ გაკვეთილებში 12%-ით მეტია, ვიდრე საკონტროლოში. ასევე გაცდენილი დრო საცდელ ჯგუფებში მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე საკონტროლოში.**

ფიზიკურ დატვირთვაზე გულსისხლძარღვთა სისტემის რეაქციის გამოვლინების მიზნით, ქრონომეტრაჟის შედგენასთან ერთდროულად დაკვირვება წარმოებდა პულსის სიხშირის ცვლილებაზე, რამაც გვიჩვენა, რომ გულის შეკუმშვათა სიხშირე უფრო მაღალია ისეთი მოძრავი თამაშების ჩატარებისას, რომლებიც ძირითადად ხტომის ელემენტებს შეიცავენ. საცდელ გაკვეთილებში მომეცადინეთა პულსის სიხშირე აღწევდა 198-ს, ხოლო საკონტროლოებში 162-ს.

ცხადია, საცდელ გაკვეთილებში მუშაობის სიმჭიდროვის მომატება განპირობებულია ისეთი მოძრავი თამაშების გამოყენებით, რომლებიც უზრუნველყოფენ მოძრაობაში მომეცადინეთა ჯგუფურად ჩაბმას. ასეთი ჯგუფური ხასიათის თამაშები, რა თქმა უნდა, გამოყენებულია ფიზიკური აღზრდის ჩვეულებრივ სასწავლო გაკვეთილებშიც და მათ შეუძლია იგივე ეფექტი მოგვცენ, რაც ჩვენ მიერ შერჩეულმა ხალხურმა მოძრავმა თამაშებმა. ამის საილუსტრაციოდ საკონტროლო ჯგუფების ერთ-ერთ გაკვეთილში, რომელშიაც ჩართული იყო მოძრავი თამაში — „კურდღელი, ყარაული, ყურშა", თამაშისათვის განკუთვნილი დრო გავზარდეთ 15 წუთამდე (ნაცვლად 8 წუთისა). საცდელი ჯგუფების გაკვეთილში კი თამაშის დრო — 15 წუთი შევამცირეთ 8 წუთამდე. ამის შედეგად საკონტროლო ჯგუფების გაკვეთილის სიმჭიდროვის პროცენტი გაუთანაბრდა საცდელი ჯგუფების გაკვეთილის სიმჭიდროვის ზემომოყვანილ პროცენტს. ხოლო საცდელი ჯგუფების გაკვეთილის სიმკვრივის პროცენტი კი — საკონტროლო ჯგუფების გაკვეთილისას.

ამგვარად, იმ მოძრავ თამაშებს შორის, რომლებიც სკოლის ფიზიკური აღზრდის პრაქტიკაში გამოიყენება, შეიძლება შერჩეულ იქნას ისეთები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჯგუფურ ჩაბმას აქტიურ მოძრაობაში. მაგრამ ასეთი მოძრავი თამაშები ცოტაა და, მაშასადამე, ჩვენი სამუშაოს ამოცანას მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის საშუალებების აღნიშნული სახის თამაშებით გამდიდრება წარმოადგენს.

შეჯიბრებებმა, რომლებიც პედაგოგიური ექსპერიმენტის დასაწყისში და ბოლოს მშთ ნორმატივების ჩაბარებას მიეძღვნა, გვიჩვენა, რომ საცდელი ჯგუფების მოსწავლეები მთელ რიგ ნორმატივებში (სისწრაფეზე რბენა, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომა, ტყორცნა) უფრო უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, ვიდრე საკონტროლო ჯგუფის მოსწავლეები, კერძოდ:

30 მეტრზე რბენაში პედაგოგიური ექსპერიმენტის პროცესში საცდელი ჯგუფების ბიჭებმა თავიანთი შედეგი გააუმჯობესეს 0,3 წამით, ხოლო გოგონებმა — 0,2 წამით, მაშინ, როცა იგივე შედეგი საკონტროლო ჯგუფების ბიჭებმა გააუმჯობესეს 0,2 წამით, ხოლო გოგონებმა — 0,1 წამით.

სიგრძეზე ხტომაში საცდელი ჯგუფების ბიჭებმა თავიანთი შედეგი გააუმჯობესეს 9,0 სმ-ით, ხოლო გოგონებმა — 7,9 სმ-ით; მაშინ, როცა იგივე შედეგი საკონტროლო ჯგუფების ბიჭებმა გააუმჯობესეს 6,0 სმ-ით, ხოლო გოგონებმა — 5,0 სმ-ით.

სიმაღლეზე ხტომაში საცდელი ჯგუფების ბიჭებმა თავიანთი შედეგი გააუმჯობესეს 5,0 სმ-ით, ხოლო გოგონებმა — 6,0 სმ-ით; იგივე შედეგი საკონტროლო ჯგუფების ბიჭებმა გააუმჯობესეს 3,0 სმ-ით, ხოლო გოგონებმა — 2,0 სმ-ით.

ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში საცდელი ჯგუფების ბიჭებმა თავიანთი შედეგი გააუმჯობესეს 4,2 მ-ით, ხოლო გოგონებმა — 3,4 მ-ით, იგივე შედეგი საკონტროლო ჯგუფების ბიჭებმა გააუმჯობესეს 2,4 მ-ით, ხოლო გოგონებმა — 2,0 მ-ით.

მშთ I საფეხურის დანარჩენ ნორმატივებში საკონტროლო და საცდელი ჯგუფების მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება თითქმის თანაბარია.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პედაგოგიური ექსპერიმენტის მიმდინარეობის პერიოდში არ გაგვაჩნდა პირობები (ბაზა) ცურვაში მეცადინეობის ჩატარებისათვის. ამან კი დიდად შეზღუდა მშთ ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობა როგორც საცდელ, ასევე საკონტროლო ჯგუფებში. თუ შევადარებთ მშთ ნორმატივების ჩამბარებელთა რაოდენობას საცდელი და საკონტროლო ჯგუფების მოსწავლეებიდან (ცურვის ნორმატივის გარეშე) დავინახავთ, რომ საცდელი ჯგუფებიდან მშთ ყველა ნორმატივი ჩააბარა მოსწავლეთა 60-მა პროცენტმა, ხოლო საკონტროლო ჯგუფიდან კი მხოლოდ 35,7 პროცენტმა. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საცდელი და საკონტროლო ჯგუფების მოსწავლეთა მიერ მშთ ნორმატივების ჩაბარების შედეგების შედარება ცალკეული ნორმატივების მიხედვით.

პირველი შეჯიბრებისას, რომელიც ჩატარდა პედაგოგიური ექსპერიმენტის დასაწყისში, 30 მ-ზე რბენაში საცდელი ჯგუფებიდან მშთ ნორმატივი შეასრულა 5-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან კი—6-მა, მეორე შეჯიბრებისას, რომელიც ჩატარდა პედაგოგიური ექსპერიმენტის ბოლოს, იგივე ნორმატივი საცდელი ჯგუფებიდან შეასრულა 19-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან კი—მხოლოდ 11-მა.

პირველი შეჯიბრებისას გამორბენით სიგრძეზე ხტომაში როგორც საცდელი, ასევე საკონტროლო ჯგუფებიდან მშთ ნორმატივი შეასრულა 5-მა მოსწავლემ. მეორე შეჯიბრებისას იგივე ნორმატივი საცდელი ჯგუფებიდან შეასრულა 18-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან— 10-მა.

პირველი შეჯიბრებისას გამორბენით სიმაღლეზე ხტომაში როგორც საცდელი, ასევე საკონტროლო ჯგუფებიდან მშთ ნორმატივი შეასრულა 5-მა მოსწავლემ. მეორე შეჯიბრებისას იგივე ნორმატივი საცდელი ჯგუფებიდან შეასრულა 15-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან — 10-მა.

პირველი შეჯიბრებისას ჩოგბურთის ბურთის ტყორცნაში საცდელი ჯგუფებიდან მშთ ნორმატივი შეასრულა 6-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან კი—5-მა, მეორე შეჯიბრებისას იგივე ნორმატივი საცდელი ჯგუფებიდან შეასრულა 19-მა მოსწავლემ, ხოლო საკონტროლო ჯგუფებიდან — 13-მა.

ამგვარად, სკოლებში ჩატარებულმა პედაგოგიურმა დაკვირვებებმა და ექსპერიმენტმა გვიჩვენა, რომ მესამე-მეოთხე კლასის მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის გაკვეთილში ჯგუფურად შესასრულებელი ხალხური თამაშების გამოყენება და აგრეთვე მათი ჩატარებისათვის განკუთვნილი დროის ხანგრძლივობის 7-8 წუთიდან 15 წუთამდე გაზრდა ხელს უწყობს მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდის წინაშე მდგომი მთელი რიგი ამოცანების წარმატებით გადაჭრას.

დ. ჟვანია,
პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ბათუმელი იახტსმენების გასაჭირი

ცნობილია, რომ ბათუმს, ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთ უდიდეს სასპორტო-საკურორტო ქალაქს, ყოველთვის მდიდარი სპორტული ტრადიციები ჰქონდა. განსაკუთრებით კარგი პირობები აქ საწყლოსნო სახეობებისთვის არის, რამდენადაც კლიმატური პირობების გამო მთელი წლის განმავლობაში შეიძლება საწყლოსნო ბაზების გამოყენება. ბათუმელ მოცურავეებს, წყალბურთელებს, წყალში მხტომელებს, იახსტსმენებს, ნიჩბოსნებს და სხვებს მუდამ შეჰქონდათ მნიშვნელოვანი წვლილი სპორტული საქართველოს წარმატებაში. და იმ დროს, როდესაც დღეს ყველაფერი წინ მიდის, თითქოს არ უნდა შევხვდეთ არასასურველ, შემაფერხებელ მოვლენებს, მაგრამ...

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრჯერ დაიწერა თუ როგორ მდგომარეობაშია ბათუმის საცურაო აუზები, როგორი პირობები აქვთ წყალში მხტომელებს, წყალბურთელებს... ამჟამად ბათუმელი იახტსმენების გასაჭირზე შევჩერდებით.

ბათუმის საზღვაო სადგურის ახალ ნავსაყუდელში მუდამ ხალხმრავლობაა. ვინც ერთხელ მაინც გაივლის სანაპიროზე, უთუოდ თვალში ეცემა გვერდზე გადახრილი, ძველთაძველი ხის შენობა, რომელიც პორტიდან რამდენიმე ნაბიჯზეა. რაც მართალია მართალია, იგი ძალზე საცოდავად გამოიყურება. წინათ აქ მოთავსებული იყო რესტორანი, რომელიც იახტსმენებმა საკუთარი ძალებით თავიანთ ბაზად გადააკეთეს. სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ უბადრუკ შენობას წლების განმავლობაში ცოტა სარგებლობა როდი მოუტანია. მიუხედავად იმისა, რომ იახტსმენები დიდ მზრუნველობას იჩენენ და ყოველწლიურად თვითონ არემონტებენ თავიანთ რეზიდენციას, დიდად მაინც ვერაფრით შველიან. ნაგებობა უვარგისია, შეიძლება ითქვას ავარიულ მდგომარეობაშია — სახურავი გამოსაცვლელია, იატაკი დალპა. როგორც თვით სპორტსმენები ხუმრობით ამბობენ, აქ შეიძლება წყალში მხტომელთათვის ტრამპლინის მოწყობა — კარგ შესაძლებლობას იძლევა ნავმისადგომის მოქანავე ფიცრები. ამისათვის საჭირო იქნება მხოლოდ სიფხიზლე, რათა ამოტეხილ ადგილებში არ ჩავარდე. ასეთ შემთხვევებს კი ბევრჯერ ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით წვიმიან დღეებში...

ამბობენ, რომ ეს შენობა უდავოდ ასალებია, მაგრამ რას მიიღებენ იახტსმენები სანაცვლოდ? ჯერჯერობით არ ჩანს ახალი სანაპირო ბაზის ფუნდამენტი. ურომლისოდაც წარმოუდგენელია იახტკლუბის არსებობა. სპორტსაზოგადოება „ვოდნიკის" ამ შენობის წესრიგში მოსაყვანად, მისი რემონტი შეტანილი იყო საქართველოს ნაოსნობის სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს 1980 წლის გეგმაში. მაგრამ გეგმა გეგმად დარჩა, მდგომარეობა კი არ შეცვლილა. ჯერჯერობით „შავი ზღვის" თასზე რბოლის პრიზიორები საკრეისერო იახტა „აჭარის" ეკიპაჟი, რომლის კაპიტანია ნ. კადიევი, ყოველგვარი სიძნელის მიუხედავად წლის მომავალი სტარტებისთვის ემზადება. ღია ზღვაში სავარჯიშოდ გასულ სპორტსმენთა ხილვისას შემთხვევითი გამვლელი ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა ძნელ პირობებში ვარჯიშობენ სპორტსმენები. მაშ, მოდით ვიკითხოთ, ბოლოს და ბოლოს რა გაკეთდება და როდის, რომ სპორტსმენებმა შეძლონ ნორმალურ პირობებში ვარჯიში, რომ ბევრმა მოყვარულმა (მათი რიცხვი უამრავია) იასპარეზოს ოლიმპიური და საკრეისერო იახტებით?

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს საზღვაო ნაოსნობისა და „ვოდნიკის" ხელმძღვანელობა უყურადღებოდ არ დატოვებს იახტსმენებს, მიიღებს გადამწყვეტ ზომებს მათი ნორმალური ვარჯიშისთვის პირობების შესაქმნელად.

ა. ზენკო.

„პამირი" სტუმრებს აცილებს

ოში. ალპინისტთა საერთაშორისო ბანაკმა „პამირმა" ბოლო სტუმრები გააცილა. ამ სეზონში „სამყაროს სახურავის" მწვერვალები 14 ქვეყნის 219-მა სპორტსმენმა დაიპყრო.

განსაკუთრებულ წარმატებას ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებმა მიაღწიეს. კომუნიზმის პიკზე (7495 მ) ისინი ურთულესი მარშრუტით ავიდნენ. ფორტამბეკის ყინვარზე პირველად იყვნენ ესპანელები. ნორვეგიელმა ალპინისტებმა კი ზაალის ქედის ერთ-ერთი უმაღლესი მწვერვალი დალაშქრეს. როგორც უცხოელი მთამსვლელები აღნიშნავენ ამ ასვლებში მათ დიდი დახმარება გაუწიეს საბჭოთა მწვრთნელებმა.

ალპიური ბანაკის არსებობის მანძილზე პამირის პიკებზე 28 ქვეყნის 1500 სპორტსმენი ავიდა. (საკდესი).

ნახევარი საუკუნე—ველოსიპედით

ამას წინათ ტაშკენტის ოლქის ქ. ალმალიკში სტარტი აიღო დიდი სამამულო ომის მონაწილემ, 70 წელს მიღწეულმა პენსიონერმა ალექსანდრე გერშფელდმა, რომელიც გადარბენას აწყობს ველოსიპედით.

სასტარტო ქალაქიდან ა. გერშფელდმა უკვე 2 ათასი კილომეტრი გაირბინა, იყო ტაშკენტში, სამარყანდში, ნავოიში, ბუხარაში, აშხაბადში, კრასნოვოდსკში, ყიზილ-ყუმის უდაბნოში, შემდეგ ჩავიდა აზერბაიჯანის დედაქალაქში, ესტუმრა კიროვაბადს. გზადაგზა იგი ლექცია-საუბრებს მართავს მშრომელთა კოლექტივებთან.

ა. გერშფელდმა ჯერ კიდევ 20 წლისამ დაიწყო ველოსიპედით მოგზაურობა და უკვე 50 წელია არ ღალატობს ველოტურიზმს.

ო. მურვანიძე,
(„ლელო" კორ.).

სურათზე: ა. გერშფელდი ბათუმში.

რ. ტოფაძის ფოტო.

მხოლოდ ერთი ქულა

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 26 აგვისტო.

„დინამო“ (თბილისი) — „ნეფთჩი“ (ბაქო) 1:1 (0:0).

„ДИНАМО“: გაბელია, ხვანაძე, ჩივაძე, ხიზანიშვილი, მელიქია, დარასელია, კაკილაშვილი, სულაქველიძე (თავაძე), გუცაევი, ჟვანია, შენგელია.

„НЕФТЧИ“: რასულოვი, ალექპეროვი, აბდულაევი, უზბეკოვი, ხუდიევი, მიხაილევსკი, ახმედოვი, ნურმამედოვი, პონომარიოვი, ყურბანოვი (სადიხოვი), ჯავადოვი (ახანოვი).

მსაჯი კ. ვიხროვი (კიევი).

გააფრთხილეს უზბეკოვი.

მატჩს დაესწრო 47.000 მაყურებელი.

საკავშირო ჩემპიონატის ყოველ მატჩს თავისი გარკვეული ქვეტექსტი აქვს მუდამ. უმაღლესი ლიგების გუნდებს წლების განმავლობაში ერთმანეთის მიმართ უმუშავდებათ გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებანი, იქმნება ტრადიციები. ამავე დროს ყველაფერი რაღაც დაუწერელი, უცვლელი კანონების კარნახით მიმდინარეობს, მაგრამ, ზოგჯერ, პირიქით, ხდება ისეთი მოულოდნელი გამონაკლისი, სიურპრიზი, რომლის ასახსნელად ყოვლისმნახველი სპეციალისტებიც კი ვერ პოულობენ კონკრეტულ, დასაბუთებულ განმარტებას და პასუხს. ასეთი იყო, თუნდაც, ამასწინანდელი მატჩი ტაშკენტში „ფახთაქორსა“ და „სპარტაკს“ შორის. ტაშკენტელთა გუნდის ყველაზე თავგამოდებული გულშემატკივარიც კი ვერ იწინასწარმეტყველებდა მის მოულოდნელ შედეგს...

ერთ-ერთ ასეთ „გაურკვევლობას“ შეიძლება მივაწეროთ თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ ბოლო წლების შედეგები. თბილისელები ბაქოს გუნდს საკავშირო ჩემპიონატებში სულ 38-ჯერ შეხვედრიან და 20-ჯერ ჰყავთ დამარცხებული იგი, ბაქოელთა ანგარიშზე კი სულ 7 მოგებაა. ციფრები თავისთავად მეტყველებენ დინამოელთა დიდ უპირატესობაზე, თამაშის საერთო კლასში მართლაც არის საგრძნობი განსხვავება, მაგრამ ბოლო წლებში „ნეფთჩი“ დიდად ეწინააღმდეგება „დინამოს“ და თავგამოდებით იბრძვის თითოეული ქულისთვის.

ნათქვამის საილუსტრაციოდ მივმართოთ სტატისტიკას — წლებსა და ციფრებს. 1972 წელს თბილისის „დინამომ“ პირველ წრეში მოუგო „ნეფთჩის“ — 1:0, მაგრამ მერე დამარცხდა — 1:3, თუმცა მაშინ ბაქოელებმა ვერ გაუძლეს კონკურენციას უძლიერესთა შორის, ბოლო ადგილი დაიკავეს და 4 წლით გამოეთიშნენ უმაღლეს ლიგას. ამ საკმაოდ ხანგრძლივი შესვენების შემდეგ, 1977 წლიდან „ნეფთჩიმ“ ზედიზედ 3 წლის მანძილზე თითო ფრეს მიაღწია თბილისელებთან მატჩებში, მაშინაც კი, როცა „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა 1978 წელს, ხოლო შარშან მოიგო ორივე წრის მატჩები — 2:0 და 2:1. წლეულსაც პირველ წრეში, 2 მაისს, ბაქოელებმა თავიანთ მინდორზე კვლავ გაიმარჯვეს ანგარიშით 1:0.

ამრიგად, ბოლო 2 წლის მანძილზე საკავშირო ჩემპიონატის 3 მატჩში თბილისის „დინამოსა“ და ბაქოს „ნეფთჩის“ შორის ბაქოელებმა სამივეჯერ გაიმარჯვეს, ამჯერად სიუჟეტი გუშინდელი თამაშის წინ საკმარისზე უფრო საინტერესო და დაძაბული იყო. ამას გარდა, სატურნირო ცხრილში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, დინამოელებს ჰაერივით ესაჭიროებოდათ მოგება.

ესაჭიროებოდათ, მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, პირველ ტაიმში მათ ბევრი არაფერი გაუკეთებიათ, რომ სათანადოდ შეევსოთ თავიანთი აქტივი. პირიქით, ტაიმის მეტი წილი საგრძნობი უპირატესობა სტუმრების მხარეს იყო, ისინი უფრო ხშირად ფლობდნენ ბურთს, ინიციატივა ჰქონდათ შუა მინდორში, რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს მოპირდაპირე კართან. გუცაევი ალბათ ერთადერთი იყო დინამოელთაგან, რომელიც სრული ძალით და შესაძლებლობით იბრძოდა შეტევისთვის, დანარჩენები, განსაკუთრებით ნახევარმცველები ხშირად კარგავდნენ ბურთს, არაზუსტად აწვდიდნენ ერთმანეთს, ვერ უმკლავდებოდნენ მეტოქეს.

მხოლოდ მეორე ტაიმში გამოასწორეს თბილისელებმა თამაში, მოწესრიგდა რგოლების ურთიერთმოქმედება, გუცაევს კარგად აუბა მხარი შენგელიამ, გამოცოცხლდა დარასელია, თითქმის მთელი 45 წუთი ბურთი არ მოსცილებია ბაქოელთა ნახევარს.

52-ე წუთზე გუცაევი გაიჭრა მარჯვენა ფლანგზე, ცენტრში გადააწოდა ბურთი და ჟვანიამ უშუალო ბრძოლაში წამით დაასწრო მეკარეს — 1:0.

ამის შემდეგ „ნეფთჩის“ კარი განუწყვეტლივ ხიფათის ქვეშ იმყოფებოდა, ბურთი არ მოსცილებია სტუმრების კარს, მცირე ხნის მანძილზე ზედიზედ შეეძლოთ ანგარიშის გაზრდა შენგელიას (სამჯერ), დარასელიას, კაკილაშვილს, გუცაევს. არაერთხელ იხსნა თავისი კარი რასულოვმა და მაშინ, როცა ამ მინიმალური ანგარიშით მაინც უნდა დავკმაყოფილებულიყავით, ბაქოელები სწრაფ კონტრშეტევაზე გადმოვიდნენ, პონომარიოვმა კარის წინ მიაწოდა და ახმედოვმა თავით შორეულ კუთხეში გაგზავნა ბურთი — 1:1.

ეს მოხდა 88-ე წუთზე, სათამაშოდ სულ ორიოდე წუთი იყო დარჩენილი და დინამოელებმა ვეღარ შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება. „ნეფთჩიმ“ მიაღწია ფრეს, მაგრამ ეს პრაქტიკულად გუნდს აღარაფერს აძლევს — ლიმიტი მას კარგა ხანია ამოწურული აქვს...

ბ. ქორქია.

უმაღლესი ლიგა

გუშინ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები:

„ДИНАМО“ მნ. — „ქაირათი“ 1:1.

ცსკა — „ჩერნომორეცი“ 0:2

„კუბანი“ — „დნეპრი“ 2:2

„ტავრია“ — „შახტიორი“ 0:3

„არარატი“ — ასკ რ. 4:0

● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი ● ფეხბურთი

ჩემპიონატები, მატჩები, ლიდერები.

პოლონეთი

დაიწყო პოლონეთის 54-ე ჩემპიონატი ფეხბურთში. ყველაზე ძლიერად გამოიყურება შარშანდელი ჩემპიონი — ლოძის „ვიძევი“, რომელიც ამავე დროს საკმაოდ წარმატებით იბრძოდა უეფა-ს თასის მოსაპოვებლად. „ვიძევის“ ძირითად მეტოქეებად მიაჩნიათ ვარშავის „ლეგია“ და კრაკოვის „ვისლა“.

„ლეგიას“ ავარჯიშებს კ. გურსკი, რომელიც ერთხანს უცხოეთში მუშაობდა, ხოლო 1974 წელს სათავეში ედგა პოლონელთა ნაკრებს (მაშინ პოლონელებმა III ადგილი დაიკავეს მსოფლიო ჩემპიონატში). მნიშვნელოვნად გაახალგაზრდავდა „ვისლა“. ამ გუნდში ამჟამად ნაკრების 4 მოთამაშე გამოდის. აღსანიშნავია, რომ „ვისლიდან“ წავიდა ყველაზე შედეგიანი მოთამაშე (151 გოლი პოლონეთის ჩემპიონატებში) კ. კმეციკი, რომელიც ბელგიის ერთ-ერთ კლუბში გადავიდა.

პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა ა. პეხლიჩეკმა განაცხადა: „ჩვენ არ გვაქვს დაგეგმილი საწვრთნელი შეკრება და საკონტროლო მატჩები გფრ-ის ნაკრებთან ამხანაგური მატჩის წინ, რომელიც 2 სექტემბრისთვისაა ნავარაუდევი. არაერთხელ დავესწარი საკლუბო გუნდების ვარჯიშს და ვიცი, როგორ სერიოზულად ემზადებიან ნაკრების ფეხბურთელები მომავალი საპასუხისმგებლო შეხვედრებისთვის, კერძოდ, 10 ოქტომბრისთვის, როცა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში შევხვდებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდს.

უნგრეთი

სტარტი აიღო უნგრეთის საიუბილეო, მე-80 ჩემპიონატმა, რომელშიც უმაღლესი ლიგის 18 გუნდი მონაწილეობს. წლეულს უნგრეთის ჩემპიონატში მოსალოდნელია მეტად დაძაბული ბრძოლა, ვინაიდან შემდგომში უმაღლესი ლიგის მონაწილეთა რაოდენობა 18-დან 16-მდე უნდა შემცირდეს. რეფორმაა განზრახული მეორე ლიგაშიც. სადაც 3 ჯგუფის ნაცვლად შეიქმნება გაერთიანებული, ძლიერი შემადგენლობის ერთი ჯგუფი.

მიმომხილველები უპირატესობას ანიჭებენ „ფერენცვაროშს“, თუმცა გუნდიდან წავიდა ცენტრალური თავდამსხმელი ი. მუხა, რომელიც უნგრეთის ნაკრებში გამოდის. „ფერენცვაროშში“ მოვიდნენ ნაკრების წევრები გ. სანტო და გ. პელეშკეი, აგრეთვე, რამდენიმე ახალგაზრდა, ძლიერი მოთამაშე.

ეროვნული ჩემპიონატის მსვლელობაში იქნება შესვენებები, რომელთა დროსაც უნგრელები გამართავენ მსოფლიო პირველობის შესარჩევ მატჩებს: 23 სექტემბერს ბუქარესტში რუმინეთის ნაკრებთან, 14 ოქტომბერს ბუდაპეშტში — შვეიცარიელებთან, 31 ოქტომბერს ბუდაპეშტში — ნორვეგიელებთან და 18 ნოემბერს ლონდონში — ინგლისელებთან.

არგენტინელები ევროპაში

მადრიდი. მსოფლიო ჩემპიონებმა — არგენტინელმა ფეხბურთელებმა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ესპანეთში. ალიკანტეში მათ დაამარცხეს ადგილობრივი „ჰერკულესი“ — 2:0 (1:0). კვლავ გამოიჩინა თავი რაიმონ დიასმა, რომელმაც ორივე ბურთი გაიტანა.

არგენტინელი ფეხბურთელები ევროპაში კიდევ ორ მატჩს გამართავენ: 29 აგვისტოს იტალიის „ფიორენტინასთან“ და 1 სექტემბერს — ესპანეთის „ბარსელონასთან“.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ფინალი — როტერდამში

ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მომავალი გათამაშების მასპინძლად დასახელებული იყო 4 ქალაქი: როტერდამი (ჰოლანდია), ბრიუსელი (ბელგია), მიუნხენი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) და ბარსელონა (ესპანეთი).

უეფა-ს აღმასკომმა ფინალური მატჩის ჩატარების ადგილად აირჩია როტერდამი. ფინალი 1982 წლის 26 მაისს გაიმართება.

კარიერის დასასრული

ინგლისის ეროვნული ნაკრებისა და „ლივერპულის“ ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ, 32 წლის რეი კლემენსმა განაცხადა, რომ თავს ანებებს ფეხბურთს. 14 წლის განმავლობაში კლემენსმა ინგლისის კლუბებში 500-ზე მეტი მატჩი ჩაატარა.

იწყებენ ვალებით

გფრ-ის მეორე ლიგის 16 გუნდი ახალ საფეხბურთო სეზონს ერთობ არასახარბიელო მაჩვენებლებით იწყებს — ვალების საერთო რაოდენობამ 17 მილიონ დასავლეთგერმანულ მარკას მიაღწია. ამ მხრივ „რეკორდსმენად“ გვევლინება — „მიუნხენ-1860“, რომელსაც 3,7 მილიონი მარკა ვალი „აღმოაჩნდა“.

გუტენდორფი ინდოეთში

1982 წლის 1 იანვრიდან ინდოეთის ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ახალი მწვრთნელი ეყოლება. ესაა დასავლეთგერმანელი სპეციალისტი გუტენდორფი, რორომელმაც ამ ქვეყნის ნაკრები უნდა მოამზადოს აზიის 1982 წლის თამაშებისთვის.

რას ფიქრობენ ლოს-ანჯელესში?

სამ წელზე ნაკლები დარჩა ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიადის გახსნამდე. ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ მისმა ორგანიზატორებმა ბოლოს და ბოლოს გამოაცხადეს მსოფლიო სპორტსმენთა ამ ფორუმის საზეიმო გახსნის თარიღი — 1984 წლის 28 ივლისი. მაგრამ თამაშების ორგანიზაციისა და ჩატარების დეტალების შესახებ ჯერ კიდევ ერთობ ნაკლებად ვართ ინფორმირებული.

1984 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ბედის შესახებ საგანგაშო სიგნალები ჯერ კიდევ სამი წლის წინ გაისმა, როცა ათენში გადაწყდა, რომ XXIII თამაშების მასპინძელი ლოს-ანჯელესი იქნებოდა. როგორც ამას წინათ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ხუან ანტონიო სამარანჩმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, „ლოს-ანჯელესის ოლიმპიადისათვის მზადების ხარისხი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად მივიჩნიოთ“.

ბურუსი ცოტათი მაშინ გაიფანტა, როცა თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის სპეციალურ ბიულეტენებში ამას წინათ გამოქვეყნდა საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტის პ. იუბეროტისა და ლოს-ანჯელესის თამაშების სპორტული პროგრამების დირექტორის რ. სარჯენტის წერილები.

და მაინც, ამერიკელი ჟურნალისტები დუმილს არჩევენ, ვინაიდან აშშ-ში გავრცელებულია აზრი: „თამაშებისთვის მზადება ჩანასახის მდგომარეობაშია“, ამიტომ სათქმელიც არაფერი აქვთ. მართლაც, ჯერჯერობით მხოლოდ შესანიშნავი პროექტები და გულუხვი დაპირებებია.

სულ სხვა აზრისაა სარჯენტი. იგი თვლის, რომ ორგანიზატორებმა თამაშების პროგრამის 25 სახეობიდან უკვე განსაზღვრეს 17-ის საასპარეზონი. მას სწამს, რომ ლოს-ანჯელესი ბაზებით მდიდარია და თამაშების ორგანიზატორებს ასაგები ექნებათ მხოლოდ ორი დიდი ნაგებობა — ველოდრომი და აუზი, სადაც მოცურავეებისა და წყალში მხტომელების შეჯიბრებები ჩატარდება, მაგრამ სინამდვილე სულ სხვაზე მეტყველებს. მაგალითად, ფიფა-მ (ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია) და ფიხ-მა (ბალახის ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია) თითქმის არაფერი იციან რომელ ბაზებზე გაიმართება ტურნირები მათ სახეობებში.

ცნობილი გახდა, რომ აკადემიური ნიჩბოსნობა ლოს-ანჯელესიდან 100 კილომეტრზე, კასატის ტბაზე ჩატარდება. მაშასადამე, ნიჩბოსნები ქ. სანტა-ბარბარაში იცხოვრებენ.

თამაშების ცენტრალური სარბიელი იქნება ლოს-ანჯელესის „კოლიზეუმი“. სწორედ აქ, 1932 წელს მოეწყო ოლიმპიური შეჯიბრებები. კალიფორნიის ამ უდიდესი სტადიონის ტრიბუნები 90 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს. აქვე მოეწყობა თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალი, მძლეოსანთა შეჯიბრებები, მაგრამ სტადიონზე ბევრი რამ არის გადასაკეთებელი, ჯერჯერობით აქ ისიც კი არ იციან, თუ რით დაიფარება სარბენი ბილიკები.

თამაშების მასპინძლებს აქამდე ვერ გადაუწყვეტიათ თუ სად ჩაატარონ შეჯიბრებები ცხენოსნობაში, სასტენდო და ტყვიის სროლაში, ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობაში... ფეხბურთელებისთვის მხოლოდ ერთი სტადიონია გამოყოფილი, ეს ბაზა კი ყველა მოთხოვნას ვერ აკმაყოფილებს.

ქ. ლონგ-ბიჩი ლოს-ანჯელესიდან საკმაოდ მოშორებულია. აი, სწორედ აქ აპირებენ მიიღონ მშვილდოსნები, მოფარიკავეები, ფრენბურთელები და აფროსნები. უფრო შორს, თამაშების ცენტრიდან 50 მილზეა ქ. ანაჰენინი, რომელმაც ჰიდაობას უნდა უმასპინძლოს.

პრესის წარმომადგენლებს განსაკუთრებით აინტერესებთ თუ სად და როგორ მოეწყობა მთავარის პრესცენტრი. ცნობილი გახდა, რომ იგი მოეწყობა ლოს-ანჯელესის სავაჭრო ცენტრის შენობაში. ამ საქმეში ერთგვარი ძვრები იგრძნობა, მაგრამ ცენტრის მოწყობის სამუშაოები, როგორც იტყვიან, კუს ნაბიჯით მიიწევს წინ და თვით ცენტრის ხელმძღვანელები შეშფოთებას ვერ მალავენ.

ყველაფერი სახსრებზეა დამოკიდებული. საორგანიზაციო კომიტეტს კი საჭირო თანხა არა აქვს. ჯერ კიდევ გასული წლის თებერვალში ლოს-ანჯელესის მერმა ტ. ბრედლიმ სცადა ფინანსური დახმარება ეთხოვა მთავრობისთვის (400 მილიონ დოლარზე მეტია საჭირო ახალი ნაგებობების მშენებლობისა და ძველთა რეკონსტრუქციისთვის), მაგრამ ბრედლი დიდხანს ამაოდ ტკეპნიდა მაშინდელი პრეზიდენტის კარტერის შინაგან საქმეთა დარგში ერთ-ერთი თანაშემწის ჯ. უოსტონის კაბინეტის მისაღებს.



XXIII ოლიმპიური თამაშების თილისმა

ქალაქის მერი და თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ: აშკარად არ ჰყოფნით ფირმების „მაკდოლანდის“, „კოკა-კოლას“, „ბუდვაიზერის“ მხრივ გაღებული მცირე დახმარება.

მსოფლიო სპორტული საზოგადოებრიობა იმედოვნებს, რომ ლოს-ანჯელესის XXIII ოლიმპიური თამაშებისთვის საჭირო ყველა სპორტული ნაგებობა დროულად ჩაბარდება, რომ ყველგან სათანადო კომფორტი თუ არა, ცხოვრების ნორმალური პირობები მაინც იქნება

და ბოლოს, იმის შესახებ, რომ ამერიკელებს თამაშების მასპინძლობის გარდა სხვა დიდი საზრუნავიც აქვთ — რაც შეიძლება კარგად მოამზადონ თავიანთი გუნდები. ამისთვის ისინი არაფერს იშურებენ: მოსკოვის ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რათა ამერიკელმა ათლეტებმა საერთაშორისო შეჯიბრებებში კვლავ დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, 1984 წელს კი თავიანთ ზენიტს მიაღწიონ.

მანამდე დიდი დროა, კიდევ ბევრი წყალი ჩაივლის, ის ქვეყნები კი, რომლებიც ლოს-ანჯელესის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის მიღებას აპირებენ, გულხელდაკრეფილნი როდი სხედან.

გ. ოთანაძე.

* * *

სურათზე: ლოს-ანჯელესის ცენტრალური სტადიონი, რომელმაც უმასპინძლა X ოლიმპიური თამაშების მონაწილეებს.



27 აგვისტო საბჭოთა კინოს დღე

სპორტი ეკრანზე

1980 წლის 19 ივლისს მოსკოვს ეწვია სიჭაბუკის, სილამაზის, სიძლიერის დიდი დღესასწაული. ამ დღეს ოლიმპიური თამაშების მთავარი სარბიელის — ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის თავზე აფრიალდა ხუთრგოლიანი დროშა — მსოფლიოს სპორტსმენთა მეგობრობის ერთიანობის სიმბოლო. სპორტის 21 სახეობაში 81 ქვეყნის 6.000 სპორტსმენი იბრძოდა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის მაღალი ტიტულის მოსაპოვებლად...

ახლახან ეკრანებზე გამოვიდა მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმი „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!". ამ ოლიმპიურ კინოქრონიკაში მოთხრობილია XXII ოლიმპიური თამაშების თექვსმეტი დღის ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, რომლებიც მიმდინარეობდა დევიზით: **„სწრაფად! მაღლა! ძლიერად!"**

„სწრაფად!" — ეს იყო ლ. კონდრატიევას, ინგლისელი მორბენლების ა. უელსისა და ს. კოეს, ეთიოპიელი მ. იფთერის, იტალიელის პ. მენეას ოქროს ფინიშები.

„მაღლა!" — ეს იყო სიმაღლის დამპყრობთა ს. სიმეონის, გ. ვესიგისა და ჟ. კაზაკევიჩის განუმეორებელი ნახტომები.

„ძლიერად!" — ეს იყო კუბელი მოკრივის ტ. სტივენსონისა და საბჭოთა ძალოსნის ი. ვარდანიანის ბრწყინვალე გამარჯვება.

და კიდევ — ეს იყო უძლიერეს მეტოქეთა შერკინება ველორბოლაში, ფარიკაობაში, ტანვარჯიშში, ცურვაში. ეს იყო დაუვიწყარი შეხვედრები ოლიმპიურ სოფელში, ხელოვნების ოსტატთა კონცერტები, ეს იყო მსოფლიოს ხალხთა სუნთქვა, ურთიერთგაგება, კეთილგანწყობა, ეს იყო დიდი სპორტული შემართება.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა გრანდიოზულად ჩატარდა მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშები. დღესაც არ წყდება კმაყოფილების გამომხატველი გამოძახილები მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, დღესაც წერენ და საუბრობენ ოლიმპიადის მაღალ ორგანიზაციულ დონეზე, განუმეორებელ ცერემონიალზე, რომლის მომსწრე გახდა ათეულ ათასობით მაყურებელი. მილიონობით ადამიანი ოცნებობდა საკუთარი თვალით ეხილა ეს ზღაპრული სანახაობა, მაგრამ ბედმა, ცხადია, ყველას როდი გაუღიმა.

და აი, კინოობიექტივის „თვალმა" ფირზე აღბეჭდა და მაყურებლამდე მიიტანა განუმეორებელი სანახაობა — ორსერიიანი მხატვრული ფილმი „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!"

„მშვიდობით, მოსკოვო, მშვიდობით, ოლიმპიურო ზღაპარო, მშვიდობით..." — ამ სევდიანი სიმღერის სიტყვები სამუდამოდ დაამახსოვრდათ ოლიმპიური თამაშების მთავარ სარბიელზე შეკრებილთ. უკანასკნელ სადღესასწაულო, გამოსამშვიდობებელ აღლუმზე ამ სიმღერით ეთხოვებოდნენ მშვიდობის დედაქალაქს ხუთი კონტინენტის წარგზავნილები. მოსკოვი და მოსკოველებიც დაემშვიდობნენ ოლიმპიადას. იგი ისტორიის კუთვნილება გახდა.

გავიდა ერთი წელი და დღეს მრავალმილიონიან კინოაუდიტორიას საშუალება ეძლევა თვალი გადაავლოს შესანიშნავ სპორტულ კინომატიანეს, რომელიც ფირზე აღიბეჭდა კინოდოკუმენტალისტთა მიერ.

„ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!" — პიერ დე კუბერტენის ეს სიტყვები გამოიყენეს საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა სახელწოდებად თავიანთი მხატვრულ-პუბლიცისტური ფილმისა, რომლის გადაღებისათვის სამზადისი ჯერ კიდევ 1978 წელს დაიწყეს. ამ დროს ჩვენი ქვეყნის მთავარ კინოსტუდიაში — „მოსფილმში" შეიქმნა შემოქმედებითი გაერთიანება „ოლიმპიადა-80", რომელსაც სათავეში ჩაუდგა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, ლენინური პრემიის ლაურეატი იური ოზეროვი. ამ ნიჭიერი ხელოვანის დიდმა გამოცდილებამ, მუშაობამ ისეთ ფილმებზე, როგორიცაა „რვათა თვალით" (მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებზე) და „ბალადა სპორტზე", მასშტაბურ-ეპიკური ტილოები „განთავისუფლება" და „თავისუფლების ჯარისკაცები", განაპირობა კინოსტუდია „მოსფილმის" შემოქმედებითი გაერთიანების „ოლიმპიადა-80"-ის მთავარი ფილმის „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!" დიდი მხატვრულ-კინემატოგრაფიული დონეც.

ფილმში, როგორც აღვნიშნეთ, ასახულია ოლიმპიადის თექვსმეტი დაძაბული დღე: სტარტები და ფინიშები, ოპტიმიზმი, ბრძოლა და გამარჯვება, სპორტული ექსპრესიით სავსე, მშვიდობის ჰიმნად ამღერებული თექვსმეტი ისტორიული დღე... ფილმში გამოყენებულია სახუმარო მულტიპლიკაციური სიუჟეტებიც, რომლებიც შექმნეს ცნობილმა საბჭოთა მულტიპლიკატორებმა ფ. ხიტრუკის ხელმძღვანელობით. ამ სიუჟეტებს გადავყავართ შორეულ წარსულში, ძველი საბერძნეთის ოლიმპიურ სარბიელზე. ფილმი საინტერესოდაა შეკრული დოკუმენტური კინოეპიზოდებით, რომელთა გადაღებაზე მუშაობდა ასზე მეტი ოპერატორ-დოკუმენტალისტი. ეს მდიდარი მასალა მთელი სისრულით გადმოგვცემს იმ გრანდიოზულ მოვლენებს, რომლებიც დაკავშირებული იყო მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებთან, გადმოგვცემს ყველაფერ იმას, რაც დაკავშირებულია იმ შესანიშნავ და უჩვეულო სამყაროსთან, რომელსაც მოკლედ და მარტივად სპორტი ჰქვია!

მეორე სპორტული ფილმი, რომელიც მალე გამოვა ეკრანებზე, დოკუმენტური ჟანრისაა და ასევე მაყურებელთა დიდ ინტერესს გამოიწვევს.

„მისი ნეიტრალიზებისათვის ფეხბურთის ნებისმიერ გუნდს სჭირდება სულ ცოტა, სამი მცველი: ერთი, რომელიც შეეცდება წაართვას ბურთი, მეორე, რომელიც პირველის დაზღვევაზე ითამაშებს, და მესამე, რომელიც კარისაკენ გაემართება ბადიდან ბურთის გამოსატანად". — დიახ, ცნობილი ბრაზილიელი იუმორისტის არაპუას ეს სიტყვები ფეხბურთის მეფეს — პელეს მისამართითაა ნათქვამი.

„ალბათ, კაცობრიობას ეგვიპტის ფარაონებიდან დაწყებული XX საუკუნის ცისფერსისხლიანთა უკანასკნელ მოჰიკანამდე არ ჰყოლია უფრო საყვარელი და პატივსაცემი მეფე. ცხოვრებაში მას სასიხარულო დღეებიც ჰქონია და მწუხარებით აღსავსეც. მისი შემოქმედებისათვის უცხო არ იყო არც ზეშთაგონების წუთები და არც უღიმღამო, მტანჯველი დღეები", — შენიშნავს ი. ფესუენკო თავის წიგნში „პელე, გარინჩა, ფეხბურთი..."

ლეგენდარულ ფეხბურთელზე, რომელსაც ახლახან წოდებათა წოდება „საუკუნის ჩემპიონის თასი" მიენიჭა, ბევრი დაიწერა... ახლა კი მას ეკრანზე ვნახავთ ბრაზილიელ კინემატოგრაფისტთა (რედი გლობუ, ლუიზ კარლუშ ბარრეტუ, კარლუშ ნიმეირო) დოკუმენტურ ფილმში „ეს პელეა". დიახ, ფილმის მთავარი გმირია პელე, ბრაზილიის ნაკრების საოცარი, ფენომენალური მოთამაშე, მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელი. ეს ეკრანული ტილო თანამემამულეთა მიერ პელეს დიდი და თვალსაჩინო მიღწევების, ღვაწლის, დაფასების დასტურია.

...იმ დღეს, გადაჭედილ სტადიონზე ყველა ღელავდა. იმ ღირსსახსოვარ დღეს გულშემატკივრები ემშვიდობებოდნენ თავიანთ კერპს — პელე ტოვებდა დიდ სპორტს. ფეხბურთის ისტორიის მანძილზე მას ბადალი არ ჰყოლია. თავისი საუკეთესო ფიზიკური, ათლეტური, პლასტიკური, სწრაფი ორიენტაციისა და სხვა მრავალი მონაცემის გამო მას შეეძლო წარმატებისთვის მიეღწია სპორტის ყოველგვარ სახეობაში, მაგრამ პელემ თავისი სათქმელი ფეხბურთში თქვა. მისი ამობრწყინება ჰექა-ქუხილსაც ჰგავდა და მზის სიკაშკაშესაც. 1957 წელს იგი მონაწილეობდა როკის თასისათვის გამართულ ბრძოლაში. ერთი წლის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების შემადგენლობაში შვეციაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვიდა. ჩვიდმეტი წლისა მსოფლიო ჩემპიონი გახდა. ეროვნულ ნაკრებში ნათამაშებ ას ათ მატჩში ას ათი გოლი გაიტანა...

მაყურებლის თვალწინ გაივლის კინოქრონიკის კადრები, სადაც აღბეჭდილია საფეხბურთო მატჩებში უნიკალური ეპიზოდები პელეს მონაწილეობით. საშუალება გვეძლევა მოვუსმინოთ თვით პელეს, რომელიც ფილმში საუბრობს თანამედროვე ფეხბურთის პრობლემებზე. ამ ფილმ-ინტერვიუდან შევიტყობთ განუმეორებელი ფეხბურთელის ოსტატობის „საიდუმლოებას".

ხანმოკლეა სპორტული დიდება. ადრე თუ გვიან ჩემპიონები ეთხოვებიან სპორტს — სპორტს, რომელმაც მათ საერთაშორისო აღიარება, დიდება, პოპულარობა მოუტანა... მაგრამ ისტორია სათუთად ინახავს მათ სახელებს. მათ შორის იქნება ბრაზილიელი პელეც. თითქოს დაუჯერებელია, რომ პელე მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში, მხოლოდ საჩვენებელ მატჩებში გამოვა მწვანე მინდორზე... და მხოლოდ თავის მდიდარ გამოცდილებებს და ოსტატობას გაუზიარებს მომავალ ფეხბურთელებს.

ფილმი „ეს პელეა" გადაიღო ოპერატორმა ელიუ სილვამ. იგი ამ დღეებში გამოვა ჩვენი რესპუბლიკის ეკრანებზე და გვჯერა, რომ მარტო ფეხბურთის გულშემატკივართა ინტერესს არ გამოიწვევს.

ბ. გაგნიძე.

●

სურათებზე: ფილმის „ო, სპორტო, შენ მშვიდობა ხარ!" ფრაგმენტები და გმირები — მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშების თილისმა — დათუნია და საზეიმო დახურვის ცერემონიალი; პელე, რომელსაც ახლახან გადაეცა ფრანგული ყოველკვირეული ჟურნალის „ეკიპის" მიერ დაწესებული ჯილდო — „საუკუნის ჩემპიონის თასი" (ქვევით); მოსკოვის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, კუბელი მოკრივე თ. სტივენსონი.

● თანამედროვე ხუთჭიდი

პირადში და გუნდურშიც...

ოლიმპიურმა ჩემპიონმა, დუშანბელმა ანატოლი სტაროსტინმა თანამედროვე ხუთჭიდში მეორედ მოიპოვა (21 წლამდე ასაკის სპორტსმენები) მსოფლიო ჩემპიონობა იუნიორთა შორის.

ამ შეჯიბრებაზე (იგი დასავლეთ ბერლინში გაიმართა) გამარჯვებულმა 5470 ქულა მოაგროვა. მეორე პრიზიორია მიხეილ რეჰბაინი (გფრ) — 5324, მესამე იყო მოსკოველი ალექსეი ხაპლანოვი — 5282. ფრუნზელ სპორტსმენს იური ხორიშკოს მეშვიდე შედეგი ჰქონდა — 5212.

წარმატება მოიპოვა ჩვენმა ნაკრებმაც, რომელმაც ტურნირში გაიმარჯვა 15964 ქულით. მომდევნო ადგილებზე არიან გფრ-ის (15504) და შვეციის (15356) გუნდები.

„სპორტლოტო"

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 22 აგვისტოს გამართული 34-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 49"-დან: 6 ნომრის გამოცნობისთვის (1 ბარათი) მოგება 10000 მანეთია, ხუთისთვის (30 ბარათი) — 905 მან., ოთხისთვის (1335) — 30 მან., სამისთვის (20104) — 3 მან.

„სპორტლოტო 5 36"-დან: 5 ნომრის გამოცნობისთვის (20 ბარათი) მოგება 6560 მანეთია, ოთხისთვის (2032) — 103 მან., სამისთვის (62440) — 5 მან.

მოგებული თანხის განაღდება იწარმოებს 2 სექტემბრიდან 2 ოქტომბრის ჩათვლით. (საკდესი).

რედაქტორი ა. ბასილაია.

ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო-სპორტული კომპლექსი

აცხადებს

ბავშვთა მიღებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში.

მიიღებიან ბავშვები 6-დან 12 წლის ასაკამდე. საქმიო მიმართვის გაცემა იწარმოებს 27 აგვისტოდან საცურაო კომპლექსის სალაროებში სანაპიროს მხრიდან.

მეცადინეობა დაიწყება 7 სექტემბრიდან.

ჩვენი მისამართია: თბილისი, ლენინის ქუჩა, პირველი შესახვევი № 34, ტელ. 99-81-79, 99-80-19.

თბილისის

ვ. ი. ლენინის სახელობის

„დინამოს" სტადიონი

28 და 29 აგვისტო

ფეხბურთი

სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო" (თბილისი) —

სკა (დონის როსტოვი).

28 აგვისტო — **სათადარიგო შემადგენლობანი.**

დასაწყისი 19 ს. 30 წთ.

29 აგვისტო — **ძირითადი შემადგენლობანი.**

დასაწყისი 20 ს.

ორგანიზაციებს ბილეთები მიეყიდებათ 27 და 28 აგვისტოს 10 საათიდან.

ბილეთების საერთო გაყიდვა 29 აგვისტოს 10 საათიდან თბილისის № 1-№ 16 სალაროებში, მათგან:

სსრ კავშირის უმაღლესი და საქართველოს უმაღლესი საბჭოების დეპუტატებისთვის, საბჭოთა კავშირის გმირებისთვის — № 7 სალაროში, სამამულო ომის ინვალიდებისთვის — № 8 სალაროში.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47, 93-97-59; პასუხისმგებელი მდივანი — 99-56-47, 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივი ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის —93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-58; ბუღალტერია — 93-97-26; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; შემანქანებელი — 93-97-57.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380096, თბილისი-96, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის, 29.
ИНДЕКС 66435
შკ 14579
1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 Н